

ახალი ამბები

საარჩევნოდ სახალხო დამცველის აპარატში ცხელი ხაზი ამოქმედდა



თბილისი.20.05.08.მედიანიუსი. დღეიდან სახალხო დამცველის ოფისში ცხელი ხაზი ამოქმედდა. არჩევნებთან დაკავშირებული ნებისმიერი დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მოქალაქეებს 24 საათის განმავლობაში შეეძლება.

მიღებულ ინფორმაციას, როგორც სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები გადაამოწმებენ. სერიოზული დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში კი, ამის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც ეცნობებათ.

ომბუდსმენის აპარატის თანამშრომლები 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებსაც გაუწევენ მეთვალყურეობას. ისინი ხმის მიცემის პროცესს რეგიონებში დააკვირდებიან, სადაც მათი განცხადებით, ყველაზე მეტი დარღვევა ვლინდება.

ცხელი ხაზის ნომრებია: 99 58 98; 92 24 79; 92 24 80. მოქალაქეებს ამ ნომრებზე დარეკვისას არჩევნებთან დაკავშირებით კონსულტაციასაც გაუწევენ. "ყველა დარღვევაზე იქნება რეაგირება, რაც გულისხმობს ჩემს გასვლას ადგილზე ან ან საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმირებას. მაქსიმუმს გავაკეთებ, იმისათვის, რომ არჩევნებმა ნორმალურ ვითარებაში ჩაიაროს", – განაცხადა სოზარ სუბარმა.

რედაქტორი გიორგი ქიტიაშვილი